მიღებულია საპარლამენტო ფრაქცია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამფუძნებელ

სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარე

გიორგი გაბაშვილი

საპარლამენტო ფრაქცია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"**

პოლიტიკუტი პლატფორმა

საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის მხარდაჭერა;
- ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არაღიარების პოლიტიკის გაგრძელების უზრუნველყოფა;
- ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და ამ სფეროში რეფორმების გაგრძელება;
- მეტი თავისუფლება, მეტი დემოკრატია, მეტი პროგრესი/კეთილდღეობა
- კანონის უზენაესობის, საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაფართოება;
- უცვლელი და ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქვეყნის ინტეგრაციაზე ევრო-ატლანტიკურ სივრცესა და სტრუქტურებში
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პრინციპის დაცვა;
- თვითმართველობის განვითარება და შემდგომი დეცენტრალიზაცია
- ფისკალური სისტემის შემდგომი დეცენტრალიზაცია
- საქართველოს რეგიონების სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია;
- მდგრადი საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა;
- ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაცია
- სახელმწიფოს როლის შემოფარგვლა ეკონომიკაში საკუთრების უფლების დაცვითა და დავათა გადაწყვეტით.
- სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვა;
- ხელფასისა და პენსია-დახმარებების ზრდის პროცესების მხარდაჭერა, ეფექტური საპენსიო

პოლიტიკის ჩამოყალიბების საკანონმდებლო მხარდაჭერა;

- მოსახლეობისათვის სრულფასოვანი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა;
- განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- უმაღლესი განათლების ავტონომიის გაზრდა;
- უნივერსიტეტების განსახელმწიფოების ხელშეწყობა;
- რელიგიისა და პოლიტიკის გამიჯვნა, სეკულარიზმის დაცვა
- არსებული რეფორმების განგრძობითობის უზრუნველყოფა და მათ გაგრძელებაზე მონიტორინგი.

ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილი